საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 6862/01
10/07/2019

6862-01-2-201907101642

სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსს
ბატონ გიორგი ტატიშვილს

ასლი: საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას
შპს ,,საქართველოს გაზსაცავის კომპანიას''

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ შპს ,,საქართველოს გაზსაცავის კომპანიის'' მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტი შედგება ორი ფაზისაგან, კერძოდ შესწავლის ფაზა (ფაზა 1), რომელიც მოიცავს ორი საკვლევი ჭაბურღილის ბურღვას, მოწყობასა და ტესტირებას და განხორციელების ფაზას (ფაზა 2), რომელიც მოიცავს მოძველებული ობიექტების ექსპლუატაციიდან გამოყვანას, ჭაბურღილების ბურღვას, მიწისქვეშა გაზსაცავების ობიექტების და მილსადენების მშენებლობას და გაზის რეზერვუარების ჩაჭირხვნას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მის ამოტუმბვას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტი მოიცავს გაზის სიჭარბის არსებობის ან/და გაზის მისაღები (დაბალი) ფასის შემთხვევაში გაზის ჩაჭირხვნას მიწისქვეშა გაზსაცავში, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ჩასაჭირხნი და საწარმოო მოწყობილობებით.

სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ გადაწყვეტილება პროექტის ტექნიკურად განხორციელების შესახებ მიიღება შესწავლის ფაზის დასრულების შემდგომ მიღებული შედეგების საფუძველზე.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას არ საჭიროებს ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც რეგულირდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით შპს ,,საქართველოს გაზსაცავის კომპანიის'' მიერ სამინისტროში წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშს. გთხოვთ, შესაძლოდ მოკლე ვადაში გვაცნობოთ სკოპინგის ანგარიშით გათვალისწინებული საქმიანობა წარმოადგენს თუ არა ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით და მიეკუთვნება სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს კომპეტენციას.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

იხილეთ დანართის ელ. ვერსია.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე